ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-89

2010 წლის 24 სექტემბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 იანვრის №-10 განკარგულებით დამტკიცებულ „ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გასასხვისებელი მიწის ნაკვეთების ნუსხაში დამატებების შეტანის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 10 ივლისის №-74 განკარგულების სათაურში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 10 ივლისის №-74 განკარგულების სათაური და თანდართული ნუსხის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 იანვრის №-10 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამატებების შეტანის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**